ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6545488

ნომერი: AR1972025

თარიღი : 13.06.2023

გაცემის თარიღი : 05.07.2023

გაცნობის თარიღი : 31.08.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ინტენსიფიკაცია , მიმდებარედ , ნაკვ.15/174;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბორის ხატიაშვილი პ/ნ 01024044086
- თბილისი საბურთალოს ქ. N 40 ბ. 54

ორგანიზაცია:

- ბილდ ჯორჯია კოდი: 405085731

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 მარტის №5866998 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 13 ივნისს №AR1972025 განცხადებით მომართა ბორის ხატიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 28 მარტის №5866998 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 28 თებერვლის №5824404 ბრძანებით, №01.14.16.015.174 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა ორი ინდივიდუალური ერთ ბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 28 მარტის №5866998 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 28 მარტიდან 2024 წლის 28 მარტის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა ელმირა დოლიძე (პ/ნ: 01011025668).

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 28 მარტის №5866998 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ დამკვეთად მიწის ნაკვეთის ძველი მესაკუთრის ელმირა დოლიძის (პ/ნ: 01011025668) ნაცვლად მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრის - შპს „ბილდ ჯორჯიას“ (ს/ნ: 405085731) დაფიქსირებას.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882022636898, მომზადების თარიღი: 09/09/2022 წ.) თანახმად №01.14.16.015.174 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს შპს „ბილდ ჯორჯია“ (ს/ნ: 405085731). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B20008041, მომზადების თარიღი: 28/01/2020 წ.) თანახმად, შპს „ბილდ ჯორჯიას“ (ს/ნ: 405085731) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ბორის ხატიაშვილი (პ/ნ: 01024044086). შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.

ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №01.14.16.015.174 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ბილდ ჯორჯია“ (ს/ნ: 405085731), რომლის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირიც მომართავს სამსახურს დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2022 წლის 28 მარტის №5866998 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „ბილდ ჯორჯიას“ (ს/ნ: 405085731) დაფიქსირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 მარტის №5866998 ბრძანებაში და დამკვეთად ელმირა დოლიძის (პ/ნ: 01011025668) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „ბილდ ჯორჯია“ (ს/ნ: 405085731) .
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 მარტის №5866998 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 28 მარტის №5866998 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.